საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №72
2021 წლის 25 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის №91 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ‘‘ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 ოქტომბრის №91 ბრძანებით (ვებგვერდი, 21/10/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010320040.22.026.016833) დამტკიცებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაო გამოცდილება საორგანიზაციო, საქმისწარმოების, საჯარო, პერსონალური ან კლასიფიცირებული ინფორმაციის მართვის, ფინანსების ან სამართლის სფეროებში – 5 წელი, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე – 2 წელი.“.

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამუშაო გამოცდილება საორგანიზაციო, საქმისწარმოების, საჯარო, პერსონალური ან კლასიფიცირებული ინფორმაციის მართვის, ფინანსების ან სამართლის სფეროებში – 3 წელი, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე – 1 წელი.“.

3. 30-ე – 37-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის პირველი დეკემბრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ჯუანშერ ბურჭულაძე**